ილია დათუნაშვილი - საუკეთესო ბომბარდირი

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 30 ნოემბერი.

“ტორპედო” (ქუთაისი) – “დინამო” (თბილისი) 3:3 (0:0).

“ტორპედო”: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძემ სიამაშვილი (ჩხაიძე), ძოძუაშვილი, ჭოლაძე, კუტივაძე, ასიტაშვილი, ხერხაძე, ხაჟალია, გ. ნოდია.

“დინამო”: კოტრიკაძე (ნარსია), ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, ხართიშვილი, ბარქაია, მეტრეველი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 4:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

პირველი 20 წუთი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ სახიფათო მომენტები უმეტესად ტორპედოელთა კართან იქმნებოდა. მაგალითად, მე-10 წუთზე სტუმრების ერთ-ერთი შეტევის დროს, როცა კვასხვაძემ ღიად დატოვა კარი, მეტრეველის მიერ თავით დარტყმული ბურთი თითქოს ნაღდად უნდა გასულიყო, მაგრამ ლოსაბერიძემ დროულად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და თავისი გუნდი გოლისგან იხსნა.

მაგრამ აი, გავიდა ეს 20 წუთი და ინიციატივა ხელთ იგდეს ქუთაისელებმა.

...დინამოელთა საჯარიმო მოედანში კარგად შეიჭრა ხაჟალია. ძლიერი დარტყმა! კოტრიკაძემ აკრობატულ ნახტომში მოიგერია ბურთი, რომელსაც ხერხაძემ მიუსწრო და ცარიელ კარში გაგზავნა. ამჯერად საქმეში ჩაერია... ძელი.

შემდგომში მასპინძლებმა – ასიტაშვილმა და კუტივაძემ შორეული დარტყმებით შეამოწმეს კოტრიკაძის ოსტატობა. თბილისელთა მეკარე იოლად გაუმკლავდა ამ ბურთებს.

დასასვენებლად გუნდები “მშრალად” წავიდნენ.

სამაგიეროდ, მეტისმეტად უხვმოსავლიანი გამოდგა მეორე ტაიმი. ანგარიში უკვე 48-ე წუთზე გაიხსნა. სტუმრების საჯარიმო მოედანში სწრაფად შეიჭრა ხაჟალია და ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი. ქუთაისელები უტევენ... 52-ე წუთზე ხერხაძე ვერ მისწვდა ჭოლაძის მიერ კარგად ჩამოწოდებულ ბურთს და დაკარგა ანგარიშის გაზრდის რეალური შანსი.

მალე თბილისელებმა საპასუხო იერიში განავითარეს: კვასხვაძის შეცდომა შესანიშნავად გამოიყენა დათუნაშვილმა, – იგი მეტოქის ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო დარჩა ბურთით და ცხადია, ანგარიშის გათანაბრებაც არ გასჭირვებია.

მარცხს ქუთაისელებმა ენერგიული შეტევით უპასუხეს და 56-ე წუთზე ხაჟალიამ კვლავ დააწინაურა “ტორპედო”. მაგრამ მასპინძლებმა ეს წარმატება დიდხანს ვერ შეინარჩუნეს: მეტრეველი მარჯვენა ფლანგიდან ოსტატურად შეიჭრა მათს საჯარიმო მოედანში, ზუსტად ჩააწოდა ბურთი დათუნაშვილს და ამ უკანასკნელმა ისევ აღადგინა წონასწორობა – 2:2.

65-ე წუთი, ხერხაძე გაუსხლტა მცველებს, მეკარის პირისპირ გავიდა და ძლიერად დაარტყა, კოტრიკაძე ამჯერად უძლური იყო.

თბილისელები აშკარა მარცხის წინაშე დადგნენ, ამიტომაც მათ ძლიერად შეუტიეს ქუთაისელთა კარს, და აი, შეხვედრის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე მიზანსაც მიაღწიეს: ებრალიძემ საჯარიმო მოედანზე მოცელა მეტრეველი და დათუნაშვილმა გაიტანა პენალტი. ამრიგად, იგი 20 ბურთით სათავეში მოექცა საკავშირო ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას და დაიმსახურა გაზეთ “ტრუდის” პრიზი.

შ. ნიჟარაძე (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 1 დეკემბერი, 1966 წ.